საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ.

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კავკასი უარყოფს ამბავს. სტამბოლის კონფერენცია ამ დღეში ნაძლევს ...

კავკაცი უაზახებმა აიღეს. სტამბოლის კონფერენცია ათი დღის შემდეგ გაიხსნება. საქართველოს დელეგაციამ რესპუბლიკისათვის გერმანიაში 50 მილიონი ისესხა. ლეჩხუმისკენ მეამბოხენი მარცხდებიან.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე"

**ღირს:** თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ირაკლი მგალობლიშვილი აუწყებს ნაცნობთა და ნათესავთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა მისი საყვარელი მეუღლე

**ნინო ბესარიონის ასული ქართველიშვილი-მგალობლიშვილისა.**

დაკრძალვა კვირას აგვისტოს 18-ს 9 საათზე, რეუტოვის ქუჩა 15, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში იქიდან კუკიის სასაფლაოზე, პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე. 861

კვირას, აგვისტოს 18-ს პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ

**მარიამ (მარუსია) ივანეს ასული მიქაძის**

სულის მოსახსენებლად და სამი წლის თავზე ტფილისის მეხუთე გიმნაზიის მოწაფის

**დიმიტრი (მიტუშა) ივანეს ძე მიქაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს ღრმად დამწუხრებული მშობლები ივანე როსტომის ძე და ივდითი მახარობლის ასული მიქაძენი და შვილები მათი ნიკოლოზ, თამარ, ნინო, გიორგი და ელენე. წირვა დაიწყება 11 საათზე. 862

ღრმად დამწუხრებულნი ეკატერინე პავლეს ასული, ლევან ბესარიონის ძე, ნატალია გრიგოლის ასული ქართველიშვილები, ანა პავლეს ასული არჩუაძისა, ივანე პავლეს ძე და ოლღა დავითის ასული გოგოლაშვილები ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა: პირველისა ქალი, მეორესი და, მესამესი მული, მეოთხესი და მეხუთესი დისწული და უკანასკნელისა მულის შვილი

**ნ უ ც ა.**

პანაშვიდი დღეს $6^1/_2$ საათ. საკ. ბინაზე: რეუტოვის ქუჩა 15 გამოსვენება კვირას აგვისტოს 18-ს დილის 10 ს. ჩუღურეთის წმ ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე 861

მიხეილ ალექსანდრეს ძე მამულიშვილი ცოლით, ძმებით, დებით და რძლებით ამით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი ცოლის და

**ნ უ ც ა.**

პანაშვიდი დღეს, $6^1/_2$ ს. საკ. ბინაზე, რეუტოვის ქუჩა 15. გამოსვენება კვირას აგვისტოს 18-ს დილის 10 ს. ჩუღურეთის წმ ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავ დღეს წმ ნინოს სასაფლაოზე 861

ღრმად დამწუხრებულნი მე 7 ქართული პოლკის ოფიცრები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს თავიანთ ამხანაგის და თანამოსამსახურის

**შტაბს-კაპიტან კიკნაძის**

ქ დუშეთში ყოფნის დროს უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი პოლკის ეკლესიაში. 869

დიდად დამწუხრებული და უბედური დედა იულია ნიკოლოზის ასული ხუნდაძისა, და ნინო პეტრეს ასული ქობულაძისა, სიძე სოლომონ აკაკის ძე ქობულაძე და ბიძაშვილი სალომე სოლომონის ასული ხუნდაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოდესაში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

**ვერა პეტრეს ასული ახვლედიანისა.**

პანაშვიდი იქმნება გადახდილი კვირას აგვისტოს 18-ს ახალ სტ. დილის 12 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. 865

მეუღლე მანია და შვილები შალიკო და ლიუბა, ქვისლი გიორგი და მართა დულარიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ ამხანაგებს, რომ უეცრად გარდაიცვალა

**ილია ნიკოლოზის ძე იორდანიშვილი.**

გამოსვენება არამიანცის ბარაკიდან და დასაფლავება სოხდება აგვისტოს 18 ს კუკიის სასაფლაოზე. 8?8

**ტფილ. ქართ. ვაჭარ-მრეწველთა კრება,**

რომელიც აგვისტოს 18 თვის იყო დანიშნული, **გადადებულია** სხვა დროისათვის. დღე და ადგილი კრებისა ცალკე იქნება გამოცხადებული. 864

ნინო, ბეჟან, თამარ და არჩილ წერეთლები, ელენე ჩერქეზიშვილისა და ნიკო მაჩაბელი, ღრმა მწუხარებით აღვსილნი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ორნი—ძვირფასი შვილის, მესამე ძმის, მეოთხე ძმისწულის და უკანასკნელნი ორნი დეიდაშვილის

**კორნეტის დათიკო წერეთლის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას დაკრძალვა დაბა საჩხერეში, დღეს, შაბათს ამა აგვისტოს 17-ს. 863

**კვირას, აგვისტოს 18-ს, დილის 11 საათზე**

ქართულ კლუბში დანიშნულია **ქართული მუსიკალური საზოგადოების** (ყოფილ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების) წევრთა

**არაჩვეულებრივი საზოგადო კრების გაგრძელება**

გამგეობის წევრთა, მათ კანდიდატთა და სარევიზო კომისიის წევრთა დამატებითი არჩევნებისათვის. 1273

**მეორე ქართული კლუბი**

„ახალი საკრებულო" მიხეილის პროსპექტი № 129.

**შაბათს, აგვისტოს 17.**

**სინემატოგრაფი**

საინტერესო პროგრამით, საზოგადოებას უჩვენებენ გენერალ ს. ს. ესაძის მიერ გადაღებულ სურათებს: სტამბოლის საზავო კონფერენცია, აგრეთვე ბათომის და ტრაპიზონის საზავო დელეგაციები და სხვა. დასაწ. საღ. 8 საათზე. 1272

**დიდი ცირკი**

**ძმ. ეფიმოვებისა**



მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. დღეს, პარასკევს აგვისტოს 17-ს გაიმართება

**იაპონურ დასის დიდი ბენეფისი**

დღეს გადაშლილი იქნება იაპონიის საიდუმლოებანი მონაწილეობენ ოპერის, დრამის და მინიატიურის მსახიობები.

866 მთავარი ადმინისტრატორი **პ. ელიზაროვი.**

კვირას, აგვისტოს 18 დილის 11 საათზე შესდგება **გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა**

**წლიური კრება**

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1. გამგეობის მოხსენება, 2. წლიური ანგარიში (შემოსავალ-გასავალი), 3. წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა, 4. მომავალი გეგმა მოქმედებისა და ხარჯთაღრიცხვა, 5. ახალი წევრების მიღება, 6. ახალი გამგეობის არჩევა, 7. კომერციული განყოფილების ანგარიში, 8. მიმდინარე საკითხები.

კრება შესდგება გორის ს. ს. ს. მ. საზ. დარბაზში და რადგან ეს კრება ინიშნება მეორედ, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს იგი კანონიერი იქნება.

1275 **ს. ს. ს. მ. საზ. გამგეობა.**

**სექტემბრის 10,** დილის 10 საათზე შესდგება **ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა ყრილობა,** რომელშიაც მონაწილეობის მისაღებად თითეოულ მოკავშირე კოოპერატივს უფლება აქვს გამოგზავნოს ორი წარმომადგენელი და კიდევ ერთი, თუ საერთო წლიური ჯამი მისი კავშირის საშუალებით ნავაჭრისა აღემატება 25000 მან; ორი წარმომადგენელი, თუ ასეთი აღემატება 50,000 მან. საერთოდ რწმუნებულთა რიცხვი ერთი საზოგადოებისა 4 არ უნდა აღემატებოდეს. (წესდ. მ. ხ. 29). **დღის წესრიგი:**

1. გამგეობის მოხსენება საერთო მოქმედების შესახებ წარსულ წელში.
2. კავშირის სამოქმედო გეგმა 1918 წლ.
3. განხილვა და დამტკიცება 1917 წლ. ანგარიშისა.
4. განხილვა და დამტკიცება 1918 წლ. ხარჯთაღრიცხვისა
5. კავშირის რეორგანიზაცია.
6. კოლექტიური ხელშეკრულობის განხილვა.
7. დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრებისა.
8. „ „ სარევიზო კომისიის წევრებისა
9. „ „ მეთვალყურე საბჭოს წევრებისა.

კრება თანახმად წესდების მე-23 მუხ კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად რწმუნებულთა დამსწრე რიცხვისა

კრება შესდგება ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირის შენობაში.

1274 **ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა.**

**იყიდება** გარდერობი, საწერი მაგიდა, კრაოტი, ბავშვის კრაოტი, კამოდი, ნახევარი დუჟინი სკამი, სასადილო მაგიდა, ლამფა, ეტაჟერკა, საქანაო სკამი, გრამაფონ-პატეფონი ფირფიტებით, სურათებისათვის წითელი ხის ჩარჩოები, პრუჟინიანი ტახტი, საკერავი მანქანა, ვანა, საპურმლე შკაფი, სამგზავრო კრაოტი, ზანდუკები, საათფთიაქო და სამზარეულო ჭურჭელი.

მისამართი: ტფილისი, მალაკნის ქუჩა № 42. 867

## ტფილისი, აგვისტოს 17

**ეროვნული დროშა.**

ამ რამდენიმე დღის წინად ადგილობრივ პრესაში საზოგადოების ყურადღებას იქცევდა ქართულ სახელმწიფოებრივ ღერბის და დროშის საკითხი. როგორც ვიცით საქართველოს პარლამენტში საგანგებო კომისიაც არსებობს საგნის შესასწავლად. უეჭველია მალე კომისიის მუშაობა დასრულდება და ვერილისებით სათანადო კანონსაც. დემოკრატია დაინტერესებულია თავის ძვირფას სახელმწიფოს ფორმალური სახე მისცეს, გამოხატულებითაც ჩვენი რესპუბლიკა იყოს თავისუფალ ერის და რევოლიუციონურ დემოკრატიის სიმბოლო.

ეს საჭიროა არა მარტო ჩვენი დემოკრატიისათვის. ინტერნაციონალურ ინტერესიც გვავალებს ეს საქმე საჩქაროდ და დადებითად გადავწყვიტოთ. დღეს ჩვენ არ გვაქვს სახელმწიფოებრივი დროშა, არ გვაქვს არავითარი ემბლემა, რომელსაც ქართველ დემოკრატიის სიმბოლოდ სცნობდეს სხვა ქვეყნის დემოკრატია და სახელმწიფო. ცხადია, ჩვენი ინტერესი მოითხოვს ინტერნაციონალურ დემოკრატიას დაველაპარაკოთ არა მარტო სიტყვით, არამედ ნიშნებით, ემბლემებით, სიმბოლოებით, რაიცა რევოლიუციის აზრებსა და ზრახვებს კიდევ მეტ სიმტკიცეს მოუპოვებს.

ამნაირად ქართველი დემოკრატია ეროვნულისა და ინტერნაციონალურის მოტივებით უნდა ცდილობდეს ეს საქმე მალე შესრულდეს. იმედიც არა გვაქვს, რომ ამ მხრივ ნაბიჯიც იქნება გადადგმული, ხოლო არ შევვიძლიან ერთ საყურადღებო გარემოებას არ მივაქციოთ ყურადღება. ჩვენს ქვეყანაში ბლომად დარჩენილი კონტრ-რევოლიუციონერები დემაგოგიურის ფანდებით ცდილობდნენ ეროვნულ დროშის აზრი შოვინისტურად რეაქციის ნიშნად, გაეღრმავებიათ ამ საკითხის ნიადაგზე წინააღმდეგობა, ბრძოლა და ხელი შეეწყოთ რესპუბლიკის უბედურებისათვის. მაგრამ ეხლა ბრმაც კი ხედავს, რომ ნაძირალების ასეთი განგაში ქვენა გრძნობებით იყო გაღლენთილი. თვით ის სომხები, რომელნიც ტფილისში გაკვირვებულნი იყვნენ სასახლეზე ეროვნული დროშის ფრიალით და ამაში ხედავდნენ ქართულ შოვინიზმის ნიშნებს, დღეს ერევანში თავიანთ პარლამენტზე აღმართეს სომხური ეროვნული დროშა და ეხლა კი ეს გარემოება აღარ არის არც რეაქციონური, არც შოვინისტური. თვით ბოლშევიკებმაც შეიმუშავეს ახალ ძალთა განწყობილების შესაფერისი ემბლემები და ამნაირად გამოხატულება მისცეს საზოგადოებაში არსებულ რეალურ ურთი-ერთობას. ყველა ხედავს თუ რა ფასიც ქონებია ეროვნულ დროშის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას. ჩვენ წინადაც ვიცოდით ამ კამპანიის ღირსება, ნაძირალთა საქმედ მიგვაჩნდა იგი და ჩვენ სახელმწიფოს მოვთხოვდით ღირსეულად განევრძნო გზა ქართულ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისაკენ და ამისათვის ეროვნულ ღერბის და დროშის საქმის მოგვარებით განემტკიცებია ქართულ სახელმწიფოებრიობის სახე, ნებისყოფა და ინტერესები.

რაც მალე დასრულდება ამ მხრივ სიარული — მით უკეთესი. მოველით, რომ დროშის და ღერბის საკითხი სულ მოკლე ხანში გადაწყდება და მით ჩვენი მოთხოვნილებები ჰპოვებენ გამოხატულებას და დაკმაყოფილებას.

## რეგულიარული ჯარი

არ არსებობს ქვეყანაზე არც ერთი ისეთი სახელმწიფო, არც ერთი ისეთი მიმართულება ან პარტია, რომელსაც საჭიროდ არ მიაჩნდეს შეიარაღებული ძალის საშუალებით თავისი ქვეყნის დაცვა გარეშე მტრის შემოსევისაგან და იმავე შეიარაღებული ძალის საშუალებით დაცვა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისა. ბოლშევიკური რუსეთიც კი იძულებული გახდა ბოლოს ჯარის შექმნაზე ეფიქრა და ამისთვის მიჰმართა ყველა იმ საშუალებებს, რომლებსაც მიჰმართავენ ხოლმე ჯარის შესაქმნელად ყველა სახელმწიფონი. და ეს ადვილი ასახსნელიცაა. ჯარი ერისა და სახელმწიფოს მცველია. მხოლოდ ცნებათა სრულის არევ-დარევითა და რაღაც უცნაური ავადმყოფური ფსიქოზით შეიძლება აიხსნას იმის მტკიცება, რომ თითოეულ მოქალაქეს ცალკე და თითოეულ უბანს ან სოფელს დამოუკიდებლად შეუძლიან მოაწყოს თავდაცვის საქმე. უპასუხისმგებლო პირები და ათასი ჯურის პროვოკატორები სწორედ ასეთს აგიტაციას ეწევიან სოფელში. ყოველივე ცდა მობილიზაციისა იწვევს ამნაირ პროვოკატორების მუშაობასა და აგიტაციას. ეს, რა თქმა უნდა, ბოროტებაა და მთავრობა ვალდებულია სასტიკად ებრძოლოს ამ ბოროტებას. ვინც ჯარის მოგროვებისა და საზოგადოდ სამხედრო ძალის შექმნის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევა, ვინც ხალხს არწმუნებს, მობილიზაციის ბრძანებას არ უნდა დაემორჩილოთ, ის პოლიტიკური მოღვაწე კი არ არის, ის პროვოკატორი, ხალხის მტერი და სამშობლოს გამყიდველია და კიდეც უნდა დაისაჯოს სასტიკის სასჯელით.

მაგრამ არიან ჩვენში ისეთები, რომელნიც რეგულიარული ჯარის წინააღმდეგ ილაშქრებენ პრინციპიალურის მო-

საზრებით და რეგულიარულ ჯარს უპირისპირებენ მილიციას. აი ამის შესახებ გვინდა გამოვსთქვათ ზოგიერთი მოსაზრება.

მილიცია ყველა სოციალისტური პარტიის მოთხოვნილებაა. დაწვრილებით სისტემა მილიციისა შემუშავებული არ არის. მაგრამ თვით პრინციპი, რომელზედაც აშენებულია მილიცია, იმდენად მიმზიდველია რეგულიარულ ჯართან შედარებით, რომ იგი ყველა სოციალისტური პარტიის მოთხოვნილებად გადაქცეულა. საჭიროდ მიგვაჩნია ეხლავე განვაცხადოთ, რომ მილიციის შესახებ ძალიან ყალბი ცნობები არის გავრცელებული ხალხში. ბევრსა ჰგონია, რომ ის მილიციები, რომლებიც რევოლიუციის დროს გაჩნდა სოფლებში, ის შეიარაღებული ნაწილი მცხოვრებლებისა, რომლებიც დღეს სოფლებში დათარეშობენ, სწორედ ჩანასახია იმ მილიციისა, რომლის შემოღებასაც სოციალისტები თხოულობენ მუდმივი რეგულიარული ჯარის ნაცვლად. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. მილიცია, რაც უნდა ახალს პრინციპებზე იყოს აშენებული, მაინც ჯარია და როგორც ასეთი უსასტიკეს დისციპლინასაც ემორჩილება და იმ მიზნებსაც ისახავს, რომელიც რეგულიარულ ჯარსა აქვს დაკისრებული. მილიცია, რომელიც მოკლებულია საშუალებას მთავრობის პირველ მოთხოვნილებასთანავე მოგროვდეს და საომარ წესზე დალაგდეს, მილიცია, რომელიც მოკლებულია უნარს თავის წიაღში ატაროს ელემენტები სამხედრო ძალის დისციპლინისა, მილიცია კი არ არის, ბრბო, რომელიც ვერასოდეს სამშობლოს დაცვას ვერ ემსახურება.

ასეთი ყალბი და ბარბაროსული შეხედულება მილიციაზე ბევრს პოლიტიკურ მოღვაწესაც კი აქვს და სწორედ ამიტომაც ჰხდება მრავალი გაუგებრობა ამ ნიადაგზე.

როდესაც ჩვენში აღიძრა საკითხი ჯარის რეორგანიზაციისა ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ახლად შექმნისა, თითქმის აღარც ერთი სოციალისტური პარტია არ მოითხოვდა ეხლავე მილიციის შექმნას. ყველა იმას ამბობდა, რომ დროებით საჭიროა რეგულიარული ჯარი შევქმნათ. მოჰხდა ეს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ დღევანდელ პირობებში მილიციის შექმნას მხოლოდ ის მოითხოვს, ვისაც არავითარი სამხედრო ძალის შექმნა არა ჰსურს. მილიციის შესაქმნელად საჭიროა აბსოლუტურად დამშვიდებული და დაწყნარებული დრო. საჭიროა ქვეყანა გარეშე მტრის ხელში, მუქარას არ განიცდიდეს და შიგნითაც სრული სახელმწიფოებრივი წესრიგი იყოს დამყარებული. მხოლოდ ამისთანა პირობებში შეიძლება მილიცია მართლა შეიქმნეს, როგორც სამხედრო ძალა და იგი სალდავ კარიკატურად არ გადაიქცეს.

საქართველო კი დღეს განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება. მხოლოდ საქართველოს აშკარა მტერს ან პოლიტიკურ ფანტაზიორსა და დაბალ ხარისხის დემაგოგს ვერ შეუძლიან დაანახოს, რანაირ პირობებში იმყოფება დღეს საქართველო. მსოფლიო ომის ქარტეხილში, ბრძოლის აბობოქრებულ ოკეანეში უმწეოდ დასცურავს ჩვენი პატარა ნავი და ჯერ კიდევ არ ვიცით, რომელ ნაპირს მიგვაჯახებს სტიქიონი და რომელი ტალღის მსხვერპლი გავხდებით. ამ საერთაშორისო ქარტეხილში სრულიად უმწეოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში არ დავრჩებით, თუ მოვახერხეთ და ძალიან მალე, ძალიან ჩქარა სამხედრო ძალას შევქმნით. ეს უპირველესი მოთხოვნილებაა ჩვენი ქვეყნისა თუ სამხედრო ძალა შევქმენით, მოვახერხებთ ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვას, დაცვას რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებათა, თუ სამხედრო ძალა ვერ შევქმენით, აუცილებლად ყაჩაღური ინსიქტების მსხვერპლად გადაიქცევა ჩვენი სამშობლო და სამუდამოდ დაიღუპება შესაძლებლობაც კი საქართველოს აღდგენისა და გახანლებისა.

სწორედ ამიტომაც ყველა სოციალისტური პარტია დღეს რეგულიარული ჯარის შექმნას მოითხოვს. მოითხოვს იმ ძალის შექმნას, რომელიც განამტკიცებს ჩვენს სახელმწიფოს და ნიადაგს მოუმზადებს სხვათა შორის იმავე მილიციის შექმნას, რომელიც დასახული აქვთ მიზნად სოციალისტებს.

ეს საკითხი უყოყმანოდ და უდავოდ გადასწყდა ეროვნულ საბჭოშიაც. ეროვნულ საბჭოში არ აღმოჩნდა არც ერთი ისეთი ბეცი და მოკლე-მოკლე პარტია, რომელსაც შესაძლოდ დაენახა ამ დებულების წინააღმდეგ გალაშქრება.

მაგრამ სათანადო კანონების მიღება ჯერ კიდევ არა ნიშნავს მის რიგიანად ცხოვრებაში გატარებას. ამ მხრით ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი. უპირველესად ყოვლისა საჭირო იქნება ოფიცერთა გაცხრილვა. საქართველოს ჯარში მხოლოდ ისეთი ოფიცრობა შეიძლება დარჩეს, რომელსაც შეუძლიან ახალს დემოკრატიულს წეს-წყობილებას შეეგუოს და ჯარის კაცებთან ისეთი დამოკიდებულობა დაიჭიროს, რანაირიც ჩვენ დისციპლინის საუკეთესო საწინდრად მიგვაჩნია.

ჯარი რომ პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს, ამაზე ყველაზე მეტად თვით ოფიცრებს უყვართ ლაპარაკი. ეს სამხედრო სიბრძნედ არის მიჩნეული მათს წრეში. მაგრამ არის ნიშნები იმისა, რომ ოფიცერთა შორის არიან ისეთებიც, რომელთაც ერთგვარი პოლიტიკოსობის საღეღელი აქვთ აშლილი. ამის საბუთს გვაძლევს „ვოზროჟდენიე“-ში დაბეჭდილი წერილი ვინმე ლესოვიკისა, რომელიც გვამცნობს, რომ ოფიცერთა ზოგიერთს წრეებში გადაუწყვეტიათ ერთგვარი მოთხოვნილებანი წარუდგინონ მთავრობას. სხვათა შორის აღნიშნულია, რომ ოფიცრების აზრით მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს რეგულიარული ჯარის შესაქმნელადაო. უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მტკიცება სიმართლეს არის მოკლებული, ოფიცრობამ ძალიან კარგად იცის, რომ მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს რეგულიალური ჯარის შესაქმნელად. და თუ ამის და მიუხედავად ნაწილი ოფიცრებისა მაინც ასე აყენებს საკითხს, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მათ ან პოლიტიკანობის საღეღელი აქვთ აშლილი, ან მიშობენ, რომ რეორგანიზაცია ზოგიერთს მათგანს ოფიცერთა რიცხვიდან გარიყავს, როგორც უვარგისთ და შეუფერებელთ. ასეა თუ ისე, ასეთი მიმართულება ოფიცერთა წრეში მოსასპობია. თუ ჯარში პოლიტიკა არ უნდა იყოს, მაშინ ეს პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა გაძევნილი უნდა იყოს ოფიცერთა წრიდან და ეს ისეთის სისასტიკით უნდა იყოს კატარებული, რომ გამარჯვების მარავანდედით მოსილი პრინცი კი არ დაიხდოს, თუ საჭირო იქნება ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, ბევრგან დისციპლინა ჯარში იმიტომ ირღვევა, რომ თვით ოფიცრები პოლიტიკის გარეშე ვერა სდგებოდნენ და ამით ხელს უწყობდნენ დისციპლინის დარღვევას.

ჯარის განახლების განთიადის ჟამს ეს უნდა მოისპოს და მოისპოს უპირველესად ყოვლისა იმ წრეში, რომელსაც მეტი მოეთხოვება,—ოფიცრობას.

**არ. ჯაჯანაშვილი**

## თურქული პრესა

„ადერბეიჯანისა და კავკასიის წარმომადგენლებთან საუბარი“, ამ სათაურით სტამბოლში არსებული გაზეთ „თესვირი-ეფქარში მოყვანილია შემდეგი:

ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენელთა თავმჯდომარე ჰაიდარბეგ ბამმატოვს და ჩვენ თანამშრომელ შორის შემდეგი საუბარი იყო:

— ჩრდილოეთის კავკასიის მთავრობა როგორ შესდგა?

რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ კავკასიის მცხოვრებ მთელი ერები შეერთდნენ და ერთი მთავრობა შეჰქმნეს. ბოლშევიკების მიერ მოხდენილ რევოლიუციაზე დამყარებით მოსკოვში შექმნილი ბოლშევიკების მთავრობა ჩვენმა მთავრობამ არ იცნო, სრული დამოუკიდებლობა თვისი გამოაცხადა და მთელი სახელმწიფოებრივი შემოქმედებით აღიჭურვა. ახლად შექმნილი დამოუკიდებლობის უფრო განმტკიცებისათვის წარსულ მაისს ოსმალეთსა და მის მოკავშირეთა შორის დამოკიდებულება ვიქონიეთ. თურქებთან ეკონომიური, სამხედრო და იდეური დამოკიდებულება გვაქვს. ამის მიხედვით ბათომში თურქებთან მეგობრული ხელშეკრულების შექმნა მოვიწადინეთ. ახლა კი კონსტანტინეპოლში საზავო მოლაპარაკების დროს ამ ხელშეკრულების უფრო გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის, თათბირში მონაწილეობა უნდა მივიღოთ.

— როგორი დამოკიდებულება გაქვსთ მეზობელ სახელმწიფოებთან?

— კავკასიის ყველა სახელმწიფოებთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს. მეტადრე სამხრეთ კავკასიელ ჩვენ ძმებთან დამოკიდებულება ჩვენი წრფელია. იმედი გვაქვს, ამ მოკლე ხანში კავკასიის ყველა ერები იქნებიან კონფედერატიულად შეკავშირებულნი. ამ ერებს შორის არსებული ბუნებრივი დამოკიდებულება, რომ მოითხოვს ამას ცხადია. კავკასიის ეკონომიური და პოლიტიკური წინ მსვლელობა, ამ სოლიდარობაზე უნდა აშენდეს. განსაკუთრებით ქართველების, სომხებისა და მა[illegible]ნების შეერთებისა დამაბრკოლე[illegible] მიზეზები სრულიად არ მოიპოვება [illegible] ყველა ამ გაუგებრობისაც ადვილად თავიდან აცდენასაც მგონი შევსძლებთ. ოსმალეთისა და მისი მოკავშირეების დახმარებით კავკასია ახალი მომავლის ცდაშია. მიტომ რომ ჩვენ ყოველის მხრით დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემოქმედების საშუალებით ვართ აღსავსე.

— დონის კაზაკებზე რასა ფიქრობთ?

— სამხრეთ კავკასიის საზღვრების საკითხი, მასში დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის მეგობრულად გაირჩევა. თავისთავად ყუბანიც ამ საზღვრების საკითხთა შორის იმყოფება.

ჩვენმა თანამშრომელმა ჰაიდარბეგ ბამმატოვს გადაუხადა მადლობა და გაეყარა.

## მთავრობაში

მიწათმოქმედების მინისტრმა მთავრობას მოხსენება წარუდგინა ცენტრალურ სახელმწიფო სასტატისტიკო ბიუროს დაარსების შესახებ. აგრეთვე წარედგინა ბიუროს მოქმედების პროექტი.

—

შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობას მოხსენება წარუდგინა 1917 წლის აგვისტოს 15-ს დებულების (ლტოლვილთა მოწყობა) გაუქმების შესახებ.

—

აგვისტოს 15 შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაანთავისუფლეს ს. სირინი და ზურცალოვი.

—

ნოე რამიშვილი ინახულეს რუსთა ერ. საბჭოს წარმომადგენლებმა გუბანოვმა, მაიოროვმა და ლებედევმა უკანასკნელ დაპატიმრებათა შესახებ მოსალაპარაკებლად.

—

სამხედრო მინისტრის ბრძანების თანახმად გენერალი ბენაშვილი განთავისუფლებულ იქმნა სამხედრო მინისტრის თანაშემწის მოვალეობის აღმსრულებლობიდან და დაინიშნა სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ და სამხედრო სატოპოგრაფიო ნაწილის უფროსად.

—

გენერალი ოდიშელიძე, თანახმად მისი მოხსენებისა, გაანთავისუფლეს სამხედრო მინისტრის თანაშემწეობიდან.

—

გენერალი გედევანიშვილი დაინიშნა სამხედრო მინისტრის თანაშემწედ.—მას ევალება სპეციალურად საქმეები ჯარის მოწყობა, გაწვრთნა და სხვ.

—

კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოება, თანახმად სამხედრო მინისტრის განკარგულებისა, ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებად იწოდება.

## უკანასკნელი ცნობები

### კავკავი

რუსთა ეროვნულ საბჭომ შემდეგი დეპეშა მიიღო კობიდან: „კავკავში ბრძოლაა. გზა შეკრულია. ფურგუნები კობსა და ყაზბეგში დააკავეს. სურსათი არ არის. მდგომარეობა უმწეოა. მეფურ გუნეები ტფილისში გამგზავრებას სცდილობენ.

—

ჯავშნოსანი მატარებელის (№ 2) უფროსი მახარაძე დეპეშით აცნობინებს ჯავშნოსან მატარებელთა უფროსს გოგუაძე, რომ ბოლშევიკების ბრბო სად. ქვალონს დაეცა და მცხოვრებლები დაარბია. ბრბო გავრეკეთ და წესრიგიც აღდგენილია ბოლშევიკებმა დაატყვევეს ტელეგრაფისტი გაბისონია.

### ტყიბული

აგვისტოს 11-დან ტყიბულის მაღაროების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს ეკონომიურ ნიადაგზე. მუშები მოითხოვენ შრომის ფასის გადიდებას 50 პროც.-ით, სურსათის მიწოდებას, თავის დროზე ჯამაგირების გადახდას წვრილი ფულით, სამუშაო მასალის თავის დროზე მიწოდებას და სხვ. თუ ეს მოთხოვნები შესრულებული იქნება, მუშები პირდებიან რომ დღეში დაამუშავებენ არა 17 არამედ 35 ათას ფუთს ნახშირს.

### ცნობა საზავო დელეგაციისაგან.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ნოე რამიშვილს ბერლინიდან საქართველოს საზავო დელეგაცია დეპეშით აცნობინებს, რომ სტამბოლის კონფერენცია 10 დღის შემდეგ დაიწყება. საქართველოს დელეგაციამ შესძლო გერმანიაში 50,000,000 მანეთის სესხის მოწყობა.

### ბადიაურიდან.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი გოგიშვილი დეპეშით იტყობინება: ჩვენს განკარგულებაში სულ 2000 ა. დამხმარე ჯარის გამოგზავნა საჭირო არ არის, გადავედით თუ არა შეტევაზე მაჰმადიანები გაიქცნენ. ჯავშნოსანი მატარებლის უფროსის გოგუაძის წყალობით მაჰმადიანთა სოფლებთან უთანხმოება არ არის. ჩვენი ულტიმატუმი მათმა დელეგაციამ სავსებით მიიღო, ულტიმატუმის თანახმად აგვისტოს 15-ს იარაღს წარმოადგენენ. იმედია, საქმე სისხლის დაუღვრელად გათავდება.

—

სამხედრო მინისტრს გენერალი სუმბათაშვილი ქუთაისიდან შემდეგს აცნობინებს: აგვისტოს 8-ს შუაღამისას მამაც პოლკოვნიკ ზაქარიევის მეთაურობით ტყიბულის რაზმი შეტევაზე გადავიდა. დაიჭირა მიუვალი კლდეები და ნახევარ რკალად შემოერტყა სოფელ დგნორისას, რომლის დაპყრობის დროსაც განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებდა. მოწინააღმდეგის სასტიკმა თოფის ცეცხლმა საშუალება არ მისცა ჩვენს ნაწილებს აღნიშნულ სოფლის გარემოცვისა. ჩვენმა ბატარეიამ მამაცურად გაუკაფა გზა რაზმს. გათენებისას გამოირკვა, რომ ფრიად დაზარალებულმა მტერმა ველარ გაუძლო ჩვენს ძალას და უკან დაიხია. ჩვენები შეიჭრნენ სოფ. დგნორისაში და ცეცხლს მისცეს შვიდი სახლი, სადაც ბრბოები შეეფარნენ. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. ხელთ ვიგდეთ მრავალი ვინტოვკა და პატრონები ცხრა აგვისტოს უკან მიმდევარმა ჩვენმა მამაცმა ნაწილებმა მტერს საშუალება არ მისცეს სადმე გამაგრებისა და სოფ. საჩხეურისა და ჭორტირის დაპყრობის შემდეგ მტერს დაუწყეს ულელტეხილზე მიწასთან გასწორება. სოფ. დერჩს ზარაზნებს უშენთ. ტყვედ წამოვიყვანეთ ბანდების მეთაური როტის კომანდირი დარახველიძე და ერთი პოდპორუჩიკი. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინა სოფ. ნიკორისძირში ბოლშევიკების შტაბს.

## უცხოეთი

**კიევი.** 8—14 უკრაინის ახალი ლაშქრის პირველი დივიზიისათვის ჯარისკაცების გაწვევა საუცხოოდ ჩატარდა. გაიწვიეს 5000 კაცი, უმთავრესად გლეხები.

**მოსკოვი** 8—14. ინგლისის ფლოტილია, ჩრდილოეთ დვინით რომ მიიწევდა წინ საბჭოთა ჯარმა იერიშით გარეკა ინგლისელები საგრძნობლად დაზიანდნენ.

**სტოკჰოლმი.** რეიტერის სააგენტოს ვლადივასტოკიდან აცნობინებენ, რომ ციმბირში ბოლშევიკები თანდათან ძლიერდებიან და უსურის აღმოსავლეთ ნაპირას მაგრდებიან.

### ბრძოლა ჩეხ-სლოვაკებთან.

**მოსკოვი.** 8—13 ყველას, ყველას, ყველას, ბერლინში რუსეთის ელჩს იოფფეს. უკანასკნელ დღეებში ძირითადი ცვლილება მოხდა ჩეხ-სლოვაკთა ფრონტზე საბჭოთა ჯარების სასარგებლოდ. მიუხედავად ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტთა დახმარებისა, ჩეხ-სლოვაკები დიდად მარცხდებიან. ჩვენი ძლევამოსილი ჯარი ეკატერინბურგისკენ მიიწევს წინ სამი მხრით. დადგა ჟამი, როდესაც ანგარიში უნდა გაუსწოროთ მტრებს. რევოლიუციონური ლაშქარი ყოველი მხრიდან შეტევას აწარმოებს. ჩეხ-სლოვაკები იხევენ და გზებს აფუჭებენ ეკატერინბურგში ჩეხ-სლოვაკები მოწოდებებს ავრცელებენ და ამბობენ ქალაქს ვტოვებთო. სახალხო კომისარი ტროცკი ფრონტს ათვალიერებს და საკუთარი მუშაობით და რევოლიუციონური ლოზუნგებით ამხნევებს პროლეტარულ ლაშქარს. მალე ვოლგა საბჭოთა ხელში იქნება. წითელი ლაშქრის პოლკები ყველგან ეხმარებიან საბჭოთა ჯარს რუსის პროლეტარიატს ჰსურს გამარჯვება და ის გაიმარჯვებს. ჩიჩერინი.

### რუსეთი და გერმანია

**პეტროგრადი.** 8—14. „სევერნაია კომუნა“ სწერს გერმანიასთან ომში ჩათრევის შესახებ: „ინგლისელები და ფრანგები და მათი აგენტები დღიდან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადებისა იმედს არ ჰკარგავენ რომ რუსეთს კვლავ ჩაითრევენ გერმანიასთან ომში. რუსეთმა უთუოდ უნდა გაიმარჯვოს შინაურ ბრძოლაში, რომ თავიდან აიცდინოს გარეშე ომი“.

### ვოლგის ფრონტზე.

მოსკოვის გაზეთების ცნობით შუა ვოლგის ფრონტზე გარდამწყვეტი ბრძოლაა კონტ-რევოლიუციონურ ძალებსა და საბჭოს ჯარებს შორის. პირველთ 80.000 კაცი ჰყავსთ, უკანასკნელთ 150 ათასი კაცია. ბრძოლაში საბჭოთა ჯარები იმარჯვებენ. საბჭოთა ჯარმა ბრძოლით წაიწია წინ სიმბირსკის მიდამოებამდე.

### ჩეხ-სლოვაკები

მოსკოვში ჩამოვიდნენ აღმოსავლეთ ციმბირის საბჭოს წარმომადგენლები, რომელნიც ამბობენ, ჩეხ-სლოვაკები [illegible] კალის ტბამდე მიდიოდნენ [illegible] სავლეთით მთელი ციმბირი საბჭოთა მთავრობის ხელშია.

### რუმინია.

**ბუქარესტი.** 8—14. რუმინიის პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა არიონმა ილაპარაკა კანონპროექტზე ცენტრალურ ბანკისა და ბერლინის ბანკთან შეერთების შესახებ. მან სთქვა: „რუმინიის ეკონომიური ცხოვრება მომავალში [illegible] ეყრდნობა ცენტრალურ სახელმწიფოებთან კავშირს, განსაკუთრებით გერმანიასთან. გერმანია იყიდის რუმინიისაგან პურს. გერმანიიდან კი ჩვენ შემოვიტანთ ყველა საჭირო საქონელს. ინგლისი და ამერიკა ჩვენ ყველაფერს ვერ მოგვცემენ ვისაც სჯერა, რომ სამთა კავშირი რკინის კედლებში მოიმწყვდევს გერმანიას და დაუხშობს მას ეკონომიურ ცხოვრებას, უნდა იცოდეს, რომ ეს კედლები თვით ხალხთა ნებით დაიმსხვრევა, იმ ხალხთა, რომელნიც მსოფლიოში სცხოვრობენ და ჰსურთ განვითარება და წინსვლა“. მინისტრი მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს.

## ომის დეპეშები

### დასავლეთის ფრონტი

**ბერლინი.** 8—13. საღამოს ცნობა. ანკრიდან ავრამდე მთელი დღე სიწყნარე იყო. მტრის ნაწილობრივ იერიშები ავრსა და უაზას შუა უნაყოფოდ ჩატარდა.

**ბერლინი.** 8—14 კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. იზერსა და სკარპის შუა ჩვენი მოწინავე ნაწილები ბრწყინვალედ მოქმედებენ. მერრისის სამხრეთით და ლისის სამხრეთ დასავლეთით მტრის იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა.

**გენერალ ბემეს ლაშქარი.** სომის ორივე ნაპირით და ავრის ჩრდილოეთით ნაწილობრივი ბრძოლაა. მტერმა კვლავ მოიტანა იერიშები ლასინის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. კანნის ორივე მხრით მტრის იერიშები ცეცხლის საშუალებით მოვიგერიეთ, შემდეგ სამხრეთით კონტრ იერიშები მივიტანეთ მტერზე და გავრეკეთ.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი** უმნიშვნელო ბრძოლას აწარმოებენ ქვეითა ჯარის ნაწილები.

საჰაერო ბრძოლაში ლეიტ. ბოლლემ მე-30-ჯერ გაიმარჯვა, ობერ-ლეიტენანტმა ლერტერმა მე-29-ჯერ, ხოლო ლეიტ როტმა მე-20-ჯერ.

**პარიზი.** 8—14. გასული დღე-ღამის განმავლობაში ფრანგების ჯარი განაგრძობდა თავის ბრწყინვალე მოქმედებას მატცსა და უაზას შუა და რიბეკურტი დაიპყრო. ბელვალის აღმოსავლეთით ფრანგების ქვეითა ჯარმა გერმანელების კონტრ-იერიშები მოიგერია და რამდენიმე ტყვე იგდო ხელთ; მათ შორის ორი ბატალიონის კომანდირია.

**ბერლინი.** 8—15. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. იზერსა და სკორპის შუა გაცხოველებული მოქმედებაა.

ეიეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით ინგლისელთა რაზმა იერიში მოიტანა, მაგრამ დამარცხდა. ანკრის ჩრდილოეთით ჩვენ გავსწმინდეთ კუნძული, მტრის ბანაკში რომ არის შეჭრილი. მტერმა გუშინ დაიკავა ჩვენი თხრილები, პუასესთან და ბიმონდ-ჰამმელთან რომ არის.

**ბოემეს ლაშქარი.** ანკრსა და უაზის შუა საარტილერიო მოქმედება გაცხოველდა. მტრის იერიშები ავრის ორსავე ნაპირას და ლასინის სამხრეთით მოვიგერიეთ.

**გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი** იერიში მივიტანეთ ვესლას სამხრეთ ნაპირით და დავატყვევეთ ბრევილლის მთელი კომანდა.

**საჰაერო ბრძოლა.** ინგლისელთა ესკადრილიას ეწადა თავს დასხმოდა ერთ ჩვენს ოლქს. ჩვენი მფრინავები შეებრძოლენ მას და ვიდრე ის მიზანს მიაღწევდა, დაახევინეს. მტერმა დაკარგა 5 ჰაეროპლანი და ერთი საჰაერო ბალონი.

**პარიზი.** 8—15. მატცსა და უაზის შუა ფრანგებმა გაიმარჯვეს. [illegible]

### იტალიის ფრონტი

**ვენა.** 8—14. ტონალის რაიონში მტერმა გუშინ შეტევა დაიწყო. [illegible]

მზადების შემდეგ მტერმა ჩვენს ტონალის პოზიციებს შემოუტია. ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ მიმდიყარეობს. იტალიელებმა ვერსად ვერ გაიმარჯვეს: მხოლოდ ჩვენი სამთო პოსტები შეავიწროვეს. სამხრეთ-დასავლეთით საგულისხმო არაფერი მომხდარა.

### ალბანიის ფრონტი.

**ვენა.** 8—14. დევოლის ჰალის აღმოსავლეთით ჩვენმა ბატალიონებმა მტრის რამდენიმე სამაღლობო პუნქტი დაიპყრეს.

### პალესტინის ფრონტი

**სტამბოლი.** 8—14. საარტილერიო და საჰაერო ბრძოლა სწარმოებს. ზღვის სანაპიროებით ჩვენ გავრეკეთ მტრის მზვერავები. ჩვენმა მფრინავებმა უამრავი ყუმბარა ჩამოყარეს ტაფილეს სამხრეთით, აჯანყებულთა ბანაკში. სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

**სტამბოლი** 8—15. გასულ ღამეს მტრის რაზმების იერიში მოვიგერიეთ. იერუსალემ-ნაბლუსის გზის დასავლეთით ჩვენი არტილერია შეებრძოლა მტრის არტილერიას. ანეზასთან ჩვენმა არტილერიამ აიძულა ინგლისელთა ჰაეროპლანი ძირს დაშვებულიყო. სხვა ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

## ახალი ამბავი

✦ **ევგ. გეგეჭკორის ჩამოსვლა.** აგვისტოს 15 ბერლინიდან ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს საზავო დელეგაციის წევრი ევგ. გეგეჭკორი.

✦ **გერმანიიდან დაბრუნებული ტყვეები.** ამ დღეებში გერმანიის ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი ტყვეები: გენერალი თოფურიძე, 52 ოფიცერი და 150 ჯარის კაცი.

✦ **მილიციის უფროსი აცხადებს,** უკანასკნელ ხანებში გახშირდა ყალბი ორდერებით ჩხრეკის წარმოება. ჩხრეკის წარმოება შეუძლიანთ მხოლოდ კომისარიატის წარმომადგენლების, სახლის კომიტეტის წარმომადგენლისა და მეეზოვის თანადასწრებით. სახლის კომიტეტის წარმომადგენელი და მეეზოვე უნდა იცნობდნენ მილიციის წარმომადგენელს, რომელიც ჩხრეკს. მილიციის უფროსი სთხოვს დაუყონებლივ შეატყობინონ მას უკანონო ჩხრეკის შესახებ.

✦ **რუსთა ეროვნულ საბჭომ** დროებით შესწყვიტა ლტოლვილთა ფურგონების გზავნა საქართველოს სამხედრო გზით.

— რუსთა ერ. საბჭოს წარმომადგენელმა ლ. ეზერსკიმ ფოთსა, სოხუმსა, სოჭასა და ტუაპსეში გემები დაიქირავა ლტოლვილთათვის.

✦ **სომხეთის კორპუსის უფროსის** ბრძანებით გამოცხადდა სომხის ჯარის სრული დემობილიზაცია. შემდეგ გამოცხადდება ახალი მობილიზაცია მხოლოდ ერთი დივიზიის შესადგენად, თანახმად სომხეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებისა.

✦ აგვისტოს 14-ს, დილის 10 საათზე განოვის ქუჩზე (№ 14) თავი ჩამოიღრჩო მაქ. როზენშტეიერმა.

✦ **დაპატიმრება.** საგანგეო რაზმა დააპატიმრა კადეტთა პარტიის ტფილისის კომიტეტის წევრნი ზერცალოვი და კუშკე. პირველი უკვე გაანთავისუფლეს.

✦ **ბოლშევიკები.** მთავარ შტაბში ყოველ დღე ჩამოჰყავთ ყაზახებიდან ტყვე ბოლშევიკები.

— **კაკავში** გაემგზავრა ცუგმაერი გერმანიის საელჩოს რამდენიმე წევრით, ყაზახთა მთავრობასთან კონტაქტის დასაჭერად.

— **მილიციის უფროსის ბრძანებით** თანახმად ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების დადგენილებისა — აკრძალულია საკონდიტეროებში და კაფეებში თეთრი ფქვილისაგან, ხაჭოსხვრების, შოკოლადის, სხვა და სხვა ტკბილეულების და ნაყინის ომზადება.

— **ბოროტმოქმედება.** აგვისტოს 14, დილის 7 საათზე ს. ალექსანდროვიჩის ბინაზე, ახალციხის შესახვევში № 15 შევიდა 3 შეიარაღებული კაცი სისხლის სამართლის მილიციის სახელით. წაიღეს 40000 მანეთის ძვირფასი ნივთები და მიიმალნენ.

✦ **საჩხერის ნაწილში ოსების წინააღმდეგ მომქმედ რაზმის უფროს კაპ კონსტ. იზხნელს** მთავრობამ მადლობა გამოუცხადა და პოდპოლკოვნიკობა უბოძა.

✦ **საპყრობილეთა ინსპექციაში.** საპყრობილეთა ინსპექცია ამზადებს ახალ პროექტს მთავრობაში წარსადგენად— ყველა ტუსაღის სავალდებულო მუშაობის შესახებ. ამ პროექტის მიზანია— ციხის გარედ, სახელმწიფოს სასარგებლოდ მუშაობა იმ პატიმრებისა რომელნიც სისხლის სამართლით, ან ადმინისტრატიულის წესით იქნებიან დასჯილნი. წინანდელი კანონით ტუსაღებს აკრძალული ჰქონდათ ციხის გარედ მუშაობა.

✦ **მწერლების საჭიროება.** ს. აღბულახში (ბელიკლიუჩი—ტფილისიდან 60 ვერსი) საჭიროა რამდენიმე კაცი მწერლის ადგილზე. პირობები აგეთია. იმისდა მიხედვით თუ როგორი მომუშავე იქნება ჯამაგირად მიეცემა 200—300 მანეთამდე თვეში; ცხოვრების პირობები გაცილებით უკეთესია აღბულახში, ვიდრე ტფილისში. აუცილებელი პირობაა მსურველმა კარგად იცოდეს ქართული ენა და ქართული ხელი (პოჩერკი) ჰქონდეს კარგი; მასთანვე ერთად საჭიროა რუსული ენის ცოდნაც. მწერლები საჭიროა დაჩქარებით და მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ დეპეშით მეექვსე პოლკის ადიუტანტს—პოდპორუჩიკ მიხელიძეს (ბელიკლიუჩში).

✦ **საშუალო სკოლ ს კურსები.** ორშაბათიდან მარიამობისთვის 19-დან საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის კურსებზე დაიწყება მეცადინეობა სპეციალურ დარგებში. ხსენებულ კურსებზე ახლად ჩამოსულნი სამშაბათიდან ამ თვის 20-დან არავითარ შემთხვევაში აღარ იქმნებიან მიღებული, თუნდაც მათ განათლების სამინისტროსგან ან კურსების ხელმძღვანელი კომისიისაგან მინიჭებული ჰქონდეთ ამის უფლება.

✦ **უკრაინის სტუდენტთა საყურადღებოდ.** უკრაინაში მოსწავლე სტუდენტებს, ქალებს და ვაჟებს, ვთხოვთ მობრძანდნენ შაბათს, 7 საათ. ძველი სემინარიის შენობაში (ლერის-მელიქოვის ქუჩა, № 1). ფრიად საყურადღებო საქმისთვის. ამხანაგებს ვთხოვთ არ დაიგვიანონ.

✦ **საჩხერის ამბები.** საჩხერიდან გვატყობინებენ, რომ სოფ პერევს მოშორებით ეგრედ წოდებულ ბერის ნათხარზე მოწინააღმდეგეთა მდგომარეობის დასაზვერ-გამოსარკვევად წასულა გურიის გვარდიის ერთის ნაწილის უფროსი პორუჩიკი ბ-ნი გოგიჩაიშვილი მცირე რაზმით. ჩასაფრებულ ოსებს ბ-ნი გოგიჩაიშვილი დაუჭრიათ გვერდსა და ბეჭში ოსებს გამოუცხადებიათ: დავიხოცებით და საქართველოს მთავრობას იარაღს არ ჩავაბარებთო. როგორც გვატყობინებენ ოსები ძლიერს მობილიზაციას ახდენენ. მათი ძალები თავს იყრიან წონასა, ხახუთსა და ჯალაბეთში. მოწინააღმდეგენი ემზადებიან ძლიერი წინააღმდეგობის გასაწევად.

✦ **ოზურგეთის სამაზრო საერობო საარჩევნო კომიტეტი** ამით აცხადებს, რომ ოზურგეთის მაზრის ყველა საარჩევნო ოლქში სამაზრო ერობის ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია კვირას, 18 აგვისტოს.

✦ **„ვოზროჟდენიეს“ დახურვა** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დახურეს გაზეთი „ვოზროჟდენიე“. რედაქცია და სტამბა დაბეჭდეს.

✦ **გუმ რში** ქალთა გიმნაზიის შენობაში მოთავსდა გერმანელთა სამხედრო საელჩო, გერმანიის მისიის ჩამოსვლას ხალხი სიხარულით შეხვდა.

✦ **ს. კოლაკიდან** (სიღნაღის მაზრა) ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის სასოფლო კომისიას ატყობინებენ, რომ რაიონის კომისარმა ოგანოვმა „ეგზეკუცია“ ჩააყენა ხსენებულ სოფელში და გლეხებს მთავრობის სახელით 2000 მანეთი გადაახდევინა. მილიციონერებისთვის 400 მანეთის სადილი გაამართვინა სოფლელებს და სხვა. გლეხები თხოულოვენ შველას.

✦ **ჭყონდიდელის ავადმყოფობა.** ჭყონდიდის მიტროპოლიტი ამბროსი, რომელიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფება, ძლიერ ავად გახდა.

✦ **ნიკ. წულუკიძის პროცესი.** ტფილისის სარევოლიუციო ტრიბუნალმა აგვისტოს 14-ს დაიწყო გარჩევა ყოფილ სამხედრო და საზღვაო მინისტრის გ. გობეჩიას მკვლელის ნიკ. წულუკიძის, საქმისა, ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოწმეთა დაკითხვა სწარმოებს. საქმის გარჩევას მრავალი დაინტერესებული ხალხი ესწრება, პროცესი რამოდენიმე დღეს გასტანს.

✦ **ხოლერა.** ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 6 ხოლერიანი და 3 საეჭვო ავადმყოფი. მორჩა 9, გარდაიცვალა 2. აგვისტოს 14-ს სულ იყო 91 ხოლერიანი და 16 საეჭვო ავადმყოფი.

✦ სანიტარულ კომისიის განკარგულებით დუშეთის მაზრაში სასწრაფოდ გაიგზავნა ეპიდემიოლოგიური რაზმი ხოლერასთან საბრძოლველად.

✦ **მოსავალი კახეთში.** სასურსათო სამინისტროში მიღებულ ცნობებით კახეთში მოსავალი კარგია. დათესილი იყო შარშანდელზე ორჯელ მეტი მიწა. თითო დესეტინა მიწაზე ქერი მოკრიბეს 80 ფუთი. მუშა ხელი დღეში ფასობდა 15 მანეთს, მკის დროს კი უფრო მეტს. კალოზე სამუშაოდ 3 ცხენში გარდა ქირისა აძლევდნენ 3—4 ფ. ხორბალს, გარდა მუშა ხელის სიძვირისა პურის გაძვირება გამოწვეულია სპეკულიანტთა თავგასულობით, რომელთაც ჯერ კიდევ თიბათვეს პური დაიბევეს, და ზედ თითო ფუთში 5 თუმანი მისცეს, ეხლა კი მრავალ მათგანს პური ორმოებში აქვთ ჩაფლული და კიდევ მოელიან ფასის მომატებას.

✦ **ფოთი.** მომავალ სამოსწავლო წლიდან ნ. ბ. ლოლუას ქალის ფოთის პროფესიონალურ სკოლასთან გაიხსნება პროგიმნაზიის მეორე კლასი. მისაღები გამოცდები დაიწყება აგვისტოს 25-დან ახ. სტილით. პირველ კლასში არის 9 ადგილი, მეორეში 11. თხოვნის და საბუთების წარმოდგენა შეიძლება ფოსტით და პირადათაც ყოველ დღე დილის 9—2 საათამდის.

✦ **ახალციხელი ლტოლვილები.** 13 ივლის ტფილისში ჩამოვიდნენ ბაკურიანიდან ჯავახეთის ლტოლვილნი სამსონ და ბესარიონ გვარამაძეები, რომელთაც უმაღლეს მთავრობას მიმართეს შუამდგომლობით, რომ მათ დახმარება აღმოუჩინონ ჯავახეთიდან თათრების თარეშის რაიმე ღონისძიებით ალაგმვით. როგორც გვარამაძეებმა გადმოგვცეს 8 ივლის ციხის ჯვრის ხეობაში შემოცვინულან ასკერები და 300 სულამდე სხვილფეხა საქონელი გაუტაცნიათ, საქონელი ეკუთვნით თედო, გაბრიელ პეტრე, სამსონ და ბესარიონ გვარამაძეებს და ლტოლვილ სომხებს გვარამაძეები შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ ზედ გავლენა იქმნეს მოხდენილი ჯავახეთის ოსმალთა მთავრობის წარმომადგენელზე, რათა გატაცებული საქონელი უკანვე იქნეს დაბრუნებული. საზოგადოდ გვარამაძეებმა დაასურათეს უმწეო და აუტანელი მდგომარეობა ბაკურიანში მყოფ ლტოლვილებისა. ქართველები იქ იქნება ამჟამად 12000 კაცამდე. სომხობა გაცილებით ამაზე მეტი. ჩვენი ნათესიყანები მშვენივრად ღალადებენ ჯავახეთის ველებზე. მოსავალი დიდია, ეხლა სამკალია, ოსმალოებმა გამოიყენეს ეს მდგომარეობა, უკვე შესევიან და მკიან იქ სადაც არა უთესიათ რა. ჩვენს დაბრუნებას რაღა მნიშვნელობა ექნება გაძარცვულ ქვეყანაში, რაღამ უნდა გვაცხოვროსო. უბედურება ის არის, რომ საწყალ ჩვენს ჯავახეთელებს ბაკურიანის ტყეებშიაც კი არ აქვთ მოსვენება თათრებისაგან. საზღვარზე ჩვენი ჯარი არა დგას; ბაკურიანის სადგურზე მყოფმა 8 მეთოფურმა მილიციონერმა რა უნდა გააწყოს. პატრონი რომ გვყავდეს და ჩვენი გამკითხავი ვინმე იყოს 500-მდე ჯარში ნამყოფი ბიჭები მოვიყრით თავს და თოფებს რომ დაგვირიგებდნენ, ჩვენ თვითონ გაუსწორდებით თათრებს და არ მივცემთ ნებას უკანასკნელი იმედი სხვილ ფეხა პირუტყვი და ცხვარი გვტაცოს თითქმის ყოველ დღეო.

✦ **გიორგი ზდანოვიჩის სახლი.** გიორგი ზდანოვიჩის სახლის მყიდველებმა, ძმ. კიკნაძეებმა ანგარიში გაუწიეს პრესისა და საზოგადოების პროტესტს ამ სახლის გაყიდვის წინააღმდეგ და ზდანოვიჩის ნების აღმსრულებლებს სახლი უკან დაუბრუნეს.

✦ **ოზურგეთი.** ოზურგეთსა და ნატანებს შუა ფოსტის გაძარცვის გამოლანჩხუთში დააპატიმრეს მღვდელი ივანე არონ დონდოლაძე, ნატანების ფოსტის უფროსი ჭყონია, ყაჩაღი მიქაბერიძე და 10 საეჭვო პირი.

✦ **ხონის ვაჟთა გიმნაზიაში** მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისიდან თავისუფლდება შემდეგი საგნების მასწავლებლების ადგილები: სიტყვიერებისა, ბუნებისმეტყველებისა, ფრანგული და გერმანულ ენებისა და ხაზვა-ხატვისა. მსურველებმა თხოვნა და შესაფერი დოკუმენტები ხონის ვაჟთა გიმნაზიის გამგის სახელზე უნდა გამოგზავნონ.

✦ **ახალ-სენაკის** ვაჟთა გიმნაზიაში მისაღები გამოცდები დაიწყება 2 ენკენისთვიდან ახალი სტილით. თხოვნები მიიღება 30 აგვისტომდის.

✦ **საპყრობილეთა ინსპექციაში შტატების განხილვა.** საპყრობილეთა ინსპექციამ აგვისტოს 11 კრებაზე განიხილა ქუთაისის გუბერნიის ციხეთა უფროსის იაშვილის მოხსენება შტატების შესახებ და დაადგინა, დაუყონებლივ შეავსოს შტატები, რომელშიაც მოიწვევიან: ყოფილი მასწავლებელნი, ინსტრუქტორები და აგრონომები. ამ მიზნით ინსპექციას გადაწყვეტილი აქვს, ზნეობრივი გავლენა მოახდინოს პატიმრებზე და მათი სასჯელის დრო რესპუბლიკის სასარგებლოდ გამოიყენოს, რაც გამოიხატება პატიმართა სავალდებულო ორგანიზაციულ მუშაობაში გადაწყვეტილია აგრეთვე სასანიტარო მდგომარეობის გაუმჯობესება: ექიმებს მიეცემათ შესაფერისი ჯამაგირი და დაევალებათ საპყრობილეებში სპეციალურ მოვალეობის ასრულების გარდა სამეცნიერო მოღვაწეობაც. მათ აკრძალული ექნებათ ციხის გარეშე მუშაობა. ამას გარდა სამაზრო საპყრობილეებში არსდება ციხის უფროსთა თანაშემწის ადგილები, რომელთაც უნდა შეასრულონ უფროს ზედამხედველთა მოვალეობანი. გარდაწყვეტილია, საერთოდ ციხეებს მიეცეს სამუშაო სახლების ხასიათი.

✦ **საპყრობილეთა დამცველ რაზმის შედგენა.** გრძელდება მიღება იმ საიმედო პირთა, რომელთაც ჰსურთ ჩაეწერონ საპყრობილეთა დამცველ რაზმში. რაზმი შედგენილი იქნება სასტიკ დისციპლინის წესით. მსურველნი უნდა გამოცხადდნენ საპყრობილეთა ინსპექციაში, განოვის ქ. № 11.

✦ **ბორჩალოში.** ორი დღის წინად ჩვენს გაზეთში შულავერიდან ადგილობრივ კამისარის გალიჩიანცის მიერ მთავრობის სახელზე გამოგზავნილ დეპეშის შინაარსი გვქონდა მოყვანილი: შულავერს გარშემო ტყვის მფრქვეველები შემოაწყვეს, შესაძლებელია მცხოვრებლებთან შეტაკება და სხვა. სასურსათო სამინისტროს რწმუნებული 13 აგვისტოს პირადად ჩამოვიდა ტფილისში საქმის ვითარების მთავრობისადმი მოსახსენებლად. როგორც ირკვევა, შულავერის კომისარი გალიჩიანცი ძლიერს პროვოკაციას ეწევა რომ ხელი შეუშალოს ბორჩალოს მაზრაში სახელმწიფო საჭიროებისათვის ხორბლის შეძენას. გალიჩიანცის შესახებ ცნობები უკვე შეუკრებიათ და სამხედრო საველე სასამართლოს პასუხისგებაში მიუციათ.

✦ **ხოლერა სოფლად.** უკანასკნელ ცნობებით დუშეთსა და მის მაზრაშიაც გაჩენილა ხოლერა.

## სოფლად და ქალაქად

**დუშეთი.**

ჯერ ბოლშევიკებმა გაგვანადგურეს და ააწიოკეს ჩვენი ოჯახები და ახლა ამას ზედ დაერთო ახალი სხვა უბედურებანი: როგორც ცის მანანას აქაური ხალხი, ისე მოელოდა გზის გახსნას, მაგრამ გზა თუ გაიხსნა. მცხოვრებლებს ერთი გირვანქა პურიც ვერ უშოვიათ ამით. სოფლელები პირდაპირ ბოიკოტს აწარმოებენ და არაფრის გულისთვის დუშელებზე არ უნდათ გაყიდვა პურისა.

ვაჭრობა და ყოველგვარი ალებ მიცემობა აქ შესწყდა. ინტელიგენცია გარბის. მაზრაში დღევანდლამდე ადმინისტრაცია არ არის. სამხედრო ძალა მეტად უმნიშვნელოა. უტყუარი ცნობები აქვს კომისარიატს, რომ მაზრაში მრავლად არიან ყაჩაღთა ბრბოები.

მაგრამ ყველაზე სავალალოა ფინანსიური მდგომარეობა ქალაქისა, რის გამოც არავითარი საქმის მოგვარება არ შეიძლება. ქალაქს არა აქვს არც ვალი და არც ფული, როგორც ვიცით ქალაქი თხოულობს დახმარებას მთავრობისაგან უპროცენტო სესხის და ერთდროულ ფულის გაღებით. მთავრობამ მართებს ამ საჭირო საკითხის მალე გადაწყვეტა, თორემ ტრაგედია დუშეთისა დღითი დღე მწვავდება. საკვირველია რად იგვიანებს მთავრობა და ერობის არჩევნების მოწყობას არ შეუდგება მაზრაში, განა უპატრონო გლეხებს არ ეყოთ ერთი გაკვეთილი რომ ახლაც დვთის ანაბარათ ვტოვებთ?

**ძ. გორი.**

✦ დღეს აგვისტოს 17 საკრებულოს დარბაზში გაიმართება მსახიობ ქალის გორსკაიას საკონცერტო და სალიტერატურო საღამო. დივერტისმენტში მოწვეულია ს. ფაშალიშვილი.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში.

ხუთშაბათს პარტიულ კლუბში გაიმართა დასასრული იმ კრებისა, რომელსაც ამხ. ალ. წერეთელისა და ვახტ. კოტეტიშვილის მოხსენების განხილვა ჰქონდა საგნად. ამ დღეს მსჯელობა იყო მხოლოდ რეზოლიუციაზე. რეზოლიუცია, რომლითაც აღიარებულია სოციალისტურ პარტიათა შეთანხმებული მუშაობის საჭიროება—ერთხმად იქმნა მიღებული. დადგენილია აგრეთვე ეთხოვოს მთავარ კომიტეტს კონფერენციის მოწვევა, რადგან უკანასკნელ კონფერენციის შემდეგ ბევრი ახალი საკითხი წამოიჭრა. კრებას დიდძალი წევრები დაესწრნენ.

## საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის კურსების მსმენელთა კრება.

ორშაბათს აგვისტოს 12-ს საღ. 7 ს. ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში შესდგა საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის კურსების მსმენელთა კრება, რომელსაც დაესწრო ასამდე მასწავლებელი. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს პოეტმასწავლებელი ცახელი, მდივნად სავლე აბულაძე, განსახილველად დაისვა ფრიად საყურადღებო საკითხები, სახელდობრ 1 კურსების მსმენელთათვის ლექციების მოწყობა ახალ მწერლობის გასაცნობად, 2 საშუალო სკოლის ძირითადი რეორგანიზაციის პროექტის გასინჯვა 3, ყველა ქართულ სასწავლებლების სრული ნაციონალიზაცია, 4 მუდმივ საპედაგოგიო ჟურნალის დაარსება 5, კურსების მსმენელთა მიერ ალმანახის გამოშვება.

6. კურსების მსმენელთა მიერ დიდი საღამოს გამართვა ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოდ 7 ექსკურსიების მოწყობა და სხვ. რადგანაც წამოყენებულ საკითხების გარჩევა ერთ კრებაზე შეუძლებლად იქნა ცნობილი, ამიტომ კრებამ გადასწყვიტა აერჩია კომისია, ხუთი კაცისაგან შემდგარი, რომელიც გაუძღვებოდა საჭირო კრებების მოწყობას აღნიშნულ საკითხებზე და გამოტანილ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას შეეცდებოდა. კომისიაში აირჩიეს: ქ-ნი გრიაზნოვისა, შალვა სანიკიძე, აგრაფინა ბახტაძე, პლატონ კვირკველია და გიორგი ნაკაშიძე.

შემდეგი კრების მოწვევა კომისიას დაევალა.

## კოლექტივის დადგენილება

ამა წლისა აგვისტოს 1 შესდგა სოციალისტ ფედერალისტთა პარტიულ ბიუროში საქართველოს რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა სოც.-ფედ. პარტიის წევრთა კრება.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ალ. დიასამიძე და მდივნად გ. ანანიაშვილი. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა იმ ამხანაგებს, რომლებიც შინაურ და გარეშე მტერთან ბრძოლაში დაიღუპნენ.

კრების დღიური წესრიგი შემდეგი იყო: 1) მოხსენებანი ცენტრალურ კოლექტივისა 2) ქვე კოლექტივისა, 3) მოხსენებანი შტატ გარეშე დარჩენილ ამხანაგების შესახებ. მონაწილეობას იღებენ სჯა-ბაასში ვ. მუსხელიშვილი, ა. დიასამიძე, მ. ქუთათელაძე, ი. ყირმელაშვილი, ნ. ლეჟავა და სხვა, რომლებმაც არსებითად გამოსთქვეს შემდეგი: მიზანა კომიტეტების დაარსებისას დარგებში შეადგენდა პროფესიონალურ ინტერესების დაცვა, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ და თანდათინ ადმინისტრატიული უფლებები მიითვისეს, გზის ადმინისტრაცია ტეხნიკურ ძალადღა დასტოვეს. ამნაირად მთელი გზების მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდეს. ვინაიდან მათ არ შეეძლოთ ჰქონოდათ სათანადო ცოდნა. ამ რთულ რკინის გზების საქმეებს წესიერად გასძღოლოდნენ საქმე ვერ აწარმოეს.

დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზანი იყო ქართველი ერის ანარქიისგან და განადგურებისაგან გადარჩენაც და შერჩენა მის მიერ რევოლიუციის მოპოებულ უფლებათა, რამდენაც შესაძლებელი იქნებოდა დღევანდელ ბურჟუაზიული და დემოკრატიულ ხანაში. საქართველოს ყველა უმთავრესმა პარტიებმა, პარლამენტის წევრებმა, მთავრობამ და ყველა შეგნებულმა მოქალაქემ ის აზრი გამოსთქვეს, რომ საქართველოს მთავრობას და მის ადმინისტრაციას უნდა ჰქონოდა ხელში მართვა-გამგეობის მთელი უფლება, მტკიცე უნდა ყოფილიყო და უზენაესი და ამიტომაც ყველა გვარ კომიტეტებს ადმინისტრატიული უფლებანი უნდა ჩამოშორებოდა და გადასცემოდა მთავრობას და მის ადმინისტრაციას. აგრეც მოხდა, თითქმის ყველა სამინისტროებში და ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, მხოლოდ ერთ მეტად მნიშვნელოვან დარგის კომიტეტებმა არამც თუ არ შეიგნეს ეს ყველა გონიერ ელემენტებისაგან აღიარებული ჭეშმარიტება, არამედ უფრო გააძლიერეს თავისი უფლებებ და როგორც სჩანს და საბუთიცა გვაქვს, არც აპირებენ ახლო მომავალში მაინც უკანონოდ მითვისებულ უფლებების მიტოვებას და იქამომდე წათამამდნენ, რომ საქართველოს რკინის გზების რეორგანიზაციის საქმეც-კი თვითონ იკისრეს. ეს უკანასკნელი-კი დიდი და რთული საქმეა, მეტადრე დღევანდელ პირობებში, როცა დაწესებულებების ნაციონალიზაცია უნდა მოხდეს. ორი თვეა აგერ, რაც ამ კომიტეტების მოქმედებას გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ყოველი საქმისათვის გულშემატკივარი რკინის გზის მოსამსახურე და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რამდენადაც რთულია და დიდი რკინის გზების მართვა-გამგეობა და მათი რეორგანიზაციის საქმე, იმდენად ამასთან შედარებით სუსტი და ბალღები არიან ის კომიტეტები და კომისიები, რომლებიც ამ გვარ მოქმედებისთვის გაკადნიერდნენ. ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს ხაზგასმით ეს: ის, რომ კომიტეტები და კომისიები შესდგებიან მარტოდ იმ მოსამსახურეთაგან, რომლებიც სოც.-დემოკრატიულ პარტიის წევრებად ითვლებიან და თავის წრეში არც ერთ მოსამსახურეს, არა სოც.-დემოკრატს, რაც უნდა გამოცდილი, საქმის მცოდნე და პატიოსანი მუშაკი იყვეს, არ შეუშვებენ სცდილობენ დანიშნონ ყველა თავისუფალ ადგილებზე მხოლოდ თავის პარტიის წევრები თუნდა არც გამოცდი-

ლობით, არ ცოდნით, არც განვითარებით საქმისათვის გამოსადეგნი არ არიან და ეს მაშინ, როცა არიან მოსამსახურენი საქმისათვის შესაფერისნი და სასარგებლონი; შტატ გარეშე სტოვებენ ყველა სხვა მოსამსახურეს, რა გინდ იგი საჭირო კაცი იყვეს, არ ითხოვენ მხოლოდ თავისიანებს, თუმცა კარგად ვიცით, რომ ცოდვები იმათ თუ სხვებზე მეტი არა ნაკლები მაინც არ მოეპოვებად, დათხოვნილთა შორის არიან სოც.-ფედერ. მოსამსახურენიც კი, რომლებიც რაზმებში არიან ჩაწერილნი და წესიერების დაცვას ემსახურებიან, ამ დანიშნა-დათხოვნის გამო დიდი აღელვებაა მთელ გზებზე და ძალიან საფიქრელია, რომ რაიმე დიდი არასასიამოვნო ექცესი არა მოხდეს-რა. რამდენადაც ამ კომიტეტების და კომისიების წევრთა მოქმედებას ვაკვირდებით, იმდენად უფრო ცხადი გვეპარება, რომ ისინი ჭეშმარიტი სოციალისტები არიან და არ მოსოციალისტ-დემოკრატობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთად ერთი თავისი პირადი ინტერესები დაიკმაყოფილონ. ყველა ამ ზემოხსენებულის გამო კრებამ საჭიროდ სცნო, ადმინისტრატიული უფლება მხოლოდ მთავრობას ჰქონდეს მინიჭებული ამიტომ ყველა გვარი კომიტეტები არა პროფესიული საქმის წარმომადგენელი უნდა დაუყონებლივ მოისპოს.

ამასთანვე აღნიშნა, რომ რკინის გზების კომიტეტები სდევნიან ყველა მოსამსახურეებს, კერძოდ სოც.-ფედერალისტებს.

კრება დამთავრდა შემდეგის რეზოლიუციით:

„კრება გაეცნო რა რკინის გზების მთავარ კომიტეტის მოქმედებას, რომ მან ხელთ აიღო მართვა-გამგეობა რკინის გზებისა და ამით აუხვია თავის პირდაპირ დანიშნულებას როგორც პროფესიონალური კავშირმა, დაადგინა: მთავარი კომიტეტი, როგორ წარმომადგენელი რკინის გზების პროფესიონალური კავშირისა უნდა შეუდგეს თავის პირდაპირ პროფესიონალური მიზნების დაცვას, ხელი აიღოს იმ მართვა გამგეობაზე, რომელსაც რესპუბლიკის ცხოვრებაში შეაქვს ანარქია და გაუგებრობა.

გარდა ამისა ვინაიდან მთავარი კომიტეტი საქართველოს თავისუფლების შემდეგ ფაქტიურად აღარ არიან წარმომადგენელნი საქართველოს რკინის გზებისა, საჭიროა მოხდეს დაჩქარებით არჩევნები ახალი კომიტეტისა საქართველოს რკინის გზების მოსამსახურეთა მიერ. კომიტეტი უნდა იყოს დამცველი მოსამსახურეთა ჰიროვარამისა, მართვა გამგეობა კი ეკუთვნოდეს მთავრობას, რომელიც არის დღეს დემოკრატიული და სანდო პირებისაგან შემდგარი.

# საქართველოს დამოუკიდებულება და რკინის გზის მთავარი კომიტეტი

III *)

მთავარი კომიტეტის შემადგენლობა ერთხელ შეიცვალა მხოლოდ გასული წლის დეკემბერში. პირველად ის არჩეული იყო ამიერკავკასიის გზების მუშა-ხელოსანთა და მოხელეთა სადელეგატო ყრილობის მიერ. მეორე არჩევნებიც ამიერკავკასიის მასშტაბით მოხდა.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს ასეთი წარმომადგენლობა შესაფერი იყო, მაგრამ დღეს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის მოწამენიც გავხდით, მთავარი კომიტეტი უნდა გრძნობდეს თავის უხერხულობას, ის კარგად უნდა ჩაუკვირდეს იმ გარემოებას, რომ ალმოსავლეთის ლიანდაგის მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა ადგილებიდან დაიძრა და გარდაიხვეწა რუსეთში, დანარჩენებმა კიდევ სრულიად გაანებეს თავი სამსახურს. წავიდნენ ამრჩევლები, ამას უნდა მოჰყოლოდა შესაფერი ცვლილებაც მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში, მაგრამ, როგორც ემჩნევა, ის თავის ნებით არ ჰფიქრობს აგრე ადვილად ძალაუფლების ხელიდან გაშვებას.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მთავარ კომიტეტში თავი მოიყარეს ისეთმა პირებმა, რომელთაც საქართველოს ფარგლებში მუშაობა ხელს არ შეუწყობს, ვინაიდან, მოსალოდნელია, სულ სხვაგვარი იქნებოდა ამ პირობებში მოსამსახურეთა დამოკიდებულება იმ პარტიისადმი, რომლის წევრები გაბატონებულან ამ კომიტეტში. მართალია ამ კომიტეტს ერთხანად თავმჯდომარეობდა ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი ბ-ნი ივ. ზურაბიშვილი, მაგრამ ამ პირისადმი ყურადღებამ დრომდის გასტანა, შემდეგ კი დაითხოვეს და მის ადგილზე დასვეს ამორჩეული ამ[illegible]

*) იხ. „ს. ს.“ № 306.

ნია—ერთად-ერთი სოციალ-დემოკრატი, რომელსაც ქართველ მოსამსახურეთა ფართე წრე ენდობოდა მიუხედავად მისი პარტიული მიმართულებისა.

ასეთი ნდობა ბ-ნ მალანიასადმი ერთობ უნიადაგო აღმოჩნდა. მან ვერ დასძლია იმ ატმოსფერას, რომელიც იყო გამეფებული მთავარ კომიტეტის წევრთა შორის. ალბად ამით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ ბ-ნ მალანიას განკარგულებით და ხელის მოწერით მართველობის შენობაში შეკრების ნება არ მიეცა ქართველ მოსამსახურეებს. ეს განკარგულება დეპეშის სახით კარგად ახასიათებს მთავარი კომიტეტის დამოკიდებულებას ქართველ მოხელეთა მდგომარეობისადმი რკინის გზის მართველობაში და საერთოდ ამ უწყების ნაციონალიზაციის საკითხისადმი.

ქართველ მოსამსახურეთა პირველ კრებაზე, რომელიც გაიმართა უმთავრეს ბუჰჰალტერიის განყოფილებაში, მთავარი კომიტეტის ქართველი წევრი ბ-ნი ფიცხელაური განგებ რუსულად ლაპარაკობდა იმ განზრახვით, რომ გამოეწვია თავმჯდომარის შენიშვნა და მოწოდება წესიერებისადმი. მეორე მისმა თანამოაზრემ (ვგონებ ჰინჰარაძემ) პროვოკაციული სიტყვით (რუსულად) გაილაშქრა შეკრებილ ქართველ მოხელეთა განზრახვის წინააღმდეგ, ხოლო როცა თავმჯდომარემ ის შეაჩერა, შეურაცყოფილმა წესიერებისადმი მოწოდებით, ხმა-მაღლა განაცხადა: „ведь я говорю на государственномъ языке“-ო მერე რად დასჭირდათ ყველაფერი ეს? ნუ თუ ეროვნულ-კულტურული ხასიათის კავშირი ინტერნაციონალური თვალსაზრისით შეუწყნარებელია?..

რკინის გზათა ქართველ მოსამსახურეთა კავშირს მაინც საძირკველი ჩაეყარა. მართალია მას ხელთ არ აქვს მთელი აპარატი საქმის მართვა-გამგეობისა, მაგრამ ის პირველ ყოვლისა ემყარება მორალურ ძალას და ამ მხრივ, დარწმუნებული ვართ, მომავალი მის მხარეზეა. საქმიანი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი, არსებულ სარკინისგზო კომიტეტებისათვის პოლიტიკურ-ადმინისტრატიულ ფუნქციების ჩამოშორება და დატოვება მხოლოდ პროფესიონალურ ინტერესებზე ზრუნვის უფლებისა, ნაციონალიზაცია რკინის გზისა და ამისათვის შესაფერი ტერმინოლოგიის შესამუშავებლად, სპეციალური ცოდნის შესაძენადა და ქართული ენის შესასწავლად კურსების დაარსება, შეჯგუფება რკინის გზის ყოველგვარ დარგის ქართველ მოსამსახურეების საქართველოს ტერიტორიაზე—აი ის მუხლები, რომელნიც შეიტანა თავის წესდებაში რკინის გზათა ქართველ მოსამსახურეების კავშირმა

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამ მიზნებს ერთიორად ფასი ედება.

მთავარი კომიტეტი უკვე წელიწადზე მეტია რაც სათავეში უდგას ყოფილ ამიერკავკასიის რკინის გზის საქმეებს. ამ ხნის განმავლობაში მთელი ეს მეტად რთული აპარატი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა დაიშალა, დაირღვა, მაგრამ მთავარი კომიტეტი მაინც თავის საქმედა და მოვალეობად სთვლის ბოლომდის დარჩეს პოზიციაზე და უჩვენოს საზოგადოებას—თუ როგორ შეიძლება ბრძოლა საქმეთა კეთილად წასაყვანად თუ არა, ადგილების შესარჩენადა და მდგომარეობის სიმწვავის დროებით მისაფუჩეჩებლად მაინც.

ეს სულისკვეთება უკვე გამომჟღავნდა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში ათასნაირი ხმები დადის რკინის გზის მართველობის რეორგანიზაციის შესახებ მთავარი კომიტეტი თავის კაცებს ნიშნავს განთავისუფლებულ უფროსების ადგილებზე და თან უმატებს: ჩვენ ჯერ დავნიშნავთ საიმედო პირებს ადგილებზე და შემდეგ რკინის გზის კომიტეტებსაც ჩავაყენებთ მხოლოდ პროფესიონალურ ინტერესებზე ზრუნვის ფარგლებშიო. ნამდვილი იეზუიტური განზრახვა, თუ გნებავთ, ეს არის. შევქმნით ჩვენ მომხრეთა უფროსების შტატს, მივაკუთვნებთ მათ განუსაზღვრელ უფლებებს, ე. ი. თუ წინად სხვას ვდებდით ლაგამს, დღეს ჩვენ, როგორც საიმედო პირები, თვით აულაგმელი და უკანტროლონი ვიქნებითო...

ძნელია ერთხელვე შეთვისებულ მდგომარეობისა და ბატონობის ხელიდან გაშვება. მომაკვდავი უკიდურეს საშუალებას მიმართავს, რომ სიკვდილს გადურჩეს და ამ მხრივ მის გაბრძოლებას ხშირად კომიკური ელფერი ეძლევა.

ასეთი შთაბეჭდილება დასტოვა მთავარ კომიტეტის ერთ არა ოფიციალურმა განცხადებამ: „ჩვენ გავიგეთ რაღაც კავშირის სახელით შემდგარა კონტრ-რევოლიუციონერთა წრე, რომელსაც მიზნად დაუსახავს ჩვენი ჩამოგდება, და თუ ეს მართალია, მზადა ვართ იარაღით ხელში დავიცვათ ჩვენი უფლებებიო“. ეს ნააღრევი განცხადება აგებული იყო იმ ჭორებზე რომელიც ვინმე კეთილისმყოფელს წაეღო კახეთის რკინის გზის მართველობაში შემდგარ კავშირის საბჭოს სხდომიდან. ნამდვილად კი ამ სხდომაზე ერთი მეტად მარტივი და ნათელი აზრი იყო გამოთქმული, სახელდობრ ის რომ კომიტეტებს უნდა ჩამოერთვას ადმინისტრატიულ-პოლიტიკური ფუნქციები და დაეკისროს მხოლოდ პროფესიონალურ ინტერესებზე ზრუნვაო, ე. ი. სწორედ ის, რაც აქეს გამოთქმული მთავარ კომიტეტს უკანასკნელ თავის მოწოდებაში რკინის გზის რუს მოხელეების დასამშვიდებლად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.

როდესაც მთავარი კომიტეტი „კონტრ რევოლიუციონერების“ ქუჩელით აშინებს მოწინააღმდეგეებს, არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ეს ეპიტეტი მშვენივრად შეეფერება მის წარსულ რევოლიუციონურ მოღვაწეობას, როცა რევოლიუციის ტალღას მიერ გარედ გამოსროლილ ბიუროკრატებს სასურსათო კომიტეტსა და მართველობის კანცელარიაში აძლევდა ადგილებს.

ასე დასრულდა მთავარი კომიტეტის მოღვაწეობა. მან საქართველოს ფარგლებშიაც თავს იდვა ის მოვალეობანი, რომელნიც მას დაკისრებული ჰქონდა მხოლოდ ამიერკავკასიის საზღვრებში. იმ გარემოებამ, რომ ამ კომიტეტში შემთხვევით უმრავლესობა ქართველები აღმოჩნდნენ, გააკადნიერა ისინი და რკინის გზის საქმეთა რეორგანიზაცია სეპარატიულად გაატარეს და არ დაეკითხნენ ამ საქმეში სხვა ჯგუფებსა თუ პოლიტიკურ პარტიებს განჯა-ერევანყარსის ლიანდაგზე შეგროვილ ხმების საშუალებით არჩეულნი საქართველოს მოსამსახურეებსაც ახვევენ თავიანთ რწმუნებულობას და ყურსაც არ იბერტყავენ თავიანთ რწმუნებულობას და ყურსაც არ იბერტყავენ იმის შესახებ, რომ შესაძლებელია თუ არა უფლების ასეთი უზურპაცია განსაკუთრებით იმ დროს, როცა ყველანი ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და მხოლოდ არჩევნებისა და კენჭების მიხედვით ვგებულობთ საზოგადოების რეალურ ძალთა განწყობილებას. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენ შეგვიძლია აქვე მუხლობრივად აღვნიშნოთ ის ბრალდებანი რომელთაც ვუყენებთ ყოფილ ამიერკავკასიის რკინის გზათა მთავარ კომიტეტს. აი ეს ბრალდებანიც: 1. მთავარმა კომიტეტმა თავისი ორჭოფული პოლიტიკით და მერყეობით ხელი შეუწყო მართველობაში ესერების გაძლიერებას და მით რეაქციონურ ელემენტის დარაზმვასა და გაძლიერებასაც; 2. ძველი დახავსებულ ი ტიპის ბიუროკრატების ადგილებზე დატოვების გამო სამსახურებში ადგილი ჰქონდა საბოტაჟს და ამ მხრით არა ერთი და ორი ასი ათასი მანეთი დააკლდა სახელმწიფოს ხაზინას, 3. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მთავარი კომიტეტი ებრძოდა ქართველთა ეროვნულად შეკავშირების განზრახვას და ამ მხრით ფრიად საყურადღებოა მენშევიკ ორატორების გამოსვლა მართველობის ქართველი მოსამსახურეების პირველ საერთო კრებაზე, 4. ამ ხნის განმავლობაში მას აზრადაც არ მოსვლია შემოეკრიბა თავის გარშემო (თუ გნებავთ არაოფიციალურად) ქართველი სპეციალისტები იმ მიზნების სასამსახუროდ, რომლებიც დაისახა ამ ბოლო დროს დაარსებულმა რკ. გზის ქართველ მოსამსახურეთა კავშირმა, 5. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ის მტრულად შეხვდა და გაკადნიერდა და შეებრძოლა საქართველოს ეროვნულ საბჭოს განკარგულებას რკინის გზის მართვა-გამგეობის საქმის მთავრობის მიერ დანიშნულ პირთა ხელში გადმოსვლის შესახებ 6. განაგრძობს ბრძოლას რკინის გზათა ქართველ მოსამსახურეების კავშირის წინააღმდეგ, 7 არ ფიქრობს იმის შესახებ, რომ აწინდელი მისი შემადგენლობა არ შეეფერება საქართველოში არსებულ ჯგუფთა და პარტიათა რეალურ ძალთა განწყობილებას, 8 არ შესწევს უნარი რკინის გზის საქმეთა მართვა გამგეობისა, სხვის დახმარებასა და მიყვევასაც გაურბის, ხოლო ამის გამო მდგომარეობა თანდათან რთულდება და,, ვაი თუ, მეტად საბედისწერო დარჩეს საქართველოს ნორჩ რესპუბლიკისათვის ასეთი უნიათობა და დაუდევრობა განსაკუთრებით იმ დარგში, სადაც საჭიროა კონცენტრაცია მთელ ინტელექტუალურ, პრაქტიკულ და ზნეობრივ ძალებისა, 9. მთავარ კომიტეტის შემადგენლობაში ისეთ წევრსაც კი აქვს ადგილი, რომელსაც თავისი რევოლიუციური კარიერა პოლიტიკური შანტაჟით შეუქმნია და 10. მთავარი კომიტეტი ჰასუხსაგებ ადგილებს ინაწილებს თვის წევრთა შორის და ამით ჰქმნის ამ ორგანოს გარშემო ისეთს ატმოსფერას, რომელიც სამუდამოდ ჩირქსა სცხებს რევოლიუციასა და ყველა მის მონაპოვართ.

ჩვენ შეგვეძლო სხვა მრავალი ბრალდების წამოყენებაც, მაგრამ ყველა ეს ამ ჟამად ზედმეტად მიგვაჩნია. საქმე ის კი არაა, რომ ბრალდება წაუყენო ვისმე, არამედ ის, რომ ამ ბრალდების სიმართლემ დამნაშავეს თვალები დასწვას და ერთხელ და სამუდამოდ გამოეთხოვოს ძველი საბედისწერო გზით სიარულს ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით—დარჩება თუ არა მთავარი კომიტეტი თავის ადგილზე ძველი ფუნქციებითა და რწმუნებულებით, მაგრამ ფაქტი კი აწინდელი მისი ქცევისა მეტად დამაფიქრებელია: ის სეპარატიულად გამოდის ყოველგან და ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ჩვენ დღეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში ვცხოვრობთ. ბრძოლა კავშირის წინააღმდეგ ეროვნულ საბჭოს წინააღმდეგ—ყველა ეს ისეთი ხასიათის საქციელია, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს უფლებრივ სახელმწიფოს ცხოვრებაში დროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, საჭიროა რკინის გზის მართვა-გამგეობის საქმის მცოდნე, სანდო და გამოცდილ პირების ხელში გადასვლა, თორემ საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას ისეთი დიდი საფრთხე არსაიდან არ მოელის, როგორც რკინის გზის საქმეთა არევ-დარევისაგან. რკინის გზა უდიდესი ფაქტორია ერის კულტურულ-ეკონომიურ ძალთა ზრდისა და სახელმწიფოებრივ აღორძინებისა. დროა ეს ჭეშმარიტება შევიგნოთ და ჯეროვანად დავაფასოთ ყოველი კეთილი აზრი და გულწრფელი რჩევა.

გარეშე.

# მცირე განმარტება

აგვისტოს 9-ში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ჩემი წერილი „ბურჯნი ჩვენის აღორძინებისა“. ამ წერილმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია და იქ აწერილი ბოროტ მოქმედება ზოგიერთს შეცდომით მიუწერია სამინისტროს თითქმის მეთაურებისთვისაც კი. ამით ვაცხადებ, რომ მე იმ წერილში მხედველობაში მყვანდა მხოლოდ სამინისტროს ერთ-ერთი რწმუნებული. ეხლა უკვე საქმე გამორკვეულად ითვლება და, როგორც გავიგეთ, მთავრობისაგან სათანადო შედეგიც მოჰყვა, რაც მე კანონიერად მიმაჩნია და მაკმაყოფილებს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს.

ლევ. მეტრეველი.

---

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**განცხადება** საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოდ რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობების გამო აგვისტოს 10 დან მატარებლების მისვლა იცვლება შემდეგნაირად.

ტფილისიდან გასვლა:

| | | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | დილის | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | სადამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/3c | დღის | 1 | — |

ტფილისში მოსვლა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 4c/3 | დილის | 11 | — |

ტფილისის დროით.

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9-12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღებმ 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450.

ქუთაისში

**ექიმი** გ. ძოძაშვილი დაბრუნდა და განაახლა თვალის ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს., საღამოთი 5—6 ს. ძველი ტფილისის და ოლდენბურგის ქუჩების კუთხე. 851

**ქუთაისში** მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან. ქირურგიული და ქალთა [illegible] ავადმყოფო სამშობიარო [illegible] დასაწოლ ავადმყოფ[illegible] 348

**ექიმი** ი. ძ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქუჩა № 26. 1270

**ექიმი** დ. შარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

**ექიმი** ქალისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

**ექიმი** ა. ტყეშელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით $5^{1}/_{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

**ექიმი** დ. ვ. ჯაჯანიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17 49. 1153

**ექიმი** ი. ლ. შალამბერიძე იღებს საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

მედიცინის დოქტორი მოსკოვის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12-2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმონოვის აფთიაქის გვერდით. 624

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ზ. გ. აგასაროვი: $9^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^{1}/_{2}$ ს.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი. 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019